# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 სექტემბერი 2006 №226 (2848) ფასი 50 თეთრი

# შანსი ჩინური და ჩინებული


გიორგი გოგშელიძე

გაგი კაპანაძის ფოტო

## 2006 — რაოდენობა 2008 — ხარისხი

ჩინური ოქრო ქართველებისთვის არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ამ ჯერზე და, ღმერთმა ქნას, რაც ახლა ვერ შევძელით, ორი წლის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე შევძლოთ — ოლიმპიადისა უფრო ფასიანია.

4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო — ასეთია ქართველ მოჭიდავეთა მონაგარი გუანჯოუს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ენა არ მოგვიბრუნდება, აუგი ვთქვათ ჩვენს ფალავნებზე. მედალთა ჯამური ოდენობით ქართველები მეოთხე ადგილზე გავიდნენ რუსების, ამერიკელებისა და ირანელების შემდეგ და ეს მართლაც რიგიანი შედეგია. აი, თუნდაც ერთი ოქროც რომ აგვეღო და ქართული ჰიმნი მოგვესმინა...

ბოლო ქართული მედალი კი გიორგი გოგშელიძის ანგარიშზეა. გორელი ფალავანი ფინალამდე უპრობლემოდ მივიდა და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მარადიულ და უპრინციპულეს მეტოქესთან, ჰაჯიმურატ გაცალოვთან დამარცხდა.

დავიტოვოთ იმედი, რომ გოგშელიძეც მოუგებს გაცალოვს და სხვებიც შეწვდებიან ოქროს მედლებს — რაოდენობამ ხომ ხარისხში გადაზრდა იცის.

## ერთი გუნდი და ნაციონალმანშაფტი

ერთი კვირაც და, საქართველოს ეროვნული ნაკრები როსტოკში მსოფლიოს და ევროპის სამგზის ჩემპიონ „ნაციონალმანშაფტს“ ამხანაგურად გაეჯიბრება. გუშინ კი გერმანელთა დამრიგებელმა იოახიმ ლიოვმა 7 ოქტომბერს საქართველოსთან და 11 ოქტომბერს სლოვაკეთთან მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გამოამზეურა.

ლიოვმა სამ დებიუტანტს უხმო — კლემენს ფრიცს, პიოტრ ტროხოვსკის და იან შლაუდრაფს. გუშინვე ტელეფონით ვესაუბრეთ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრესატაშე ჰარალდ შტენგერს, რომელმაც გვითხრა, ლიოვი და მისი სამწვრთნელო გუნდი გამალებით ემზადებიან საქართველო-სლოვაკეთის მატჩებისთვის და იმდენად მოუცლელნი არიან, ქართველ ჟურნალისტებთან სასაუბრო დროს დღეს ვერ გამონახავენო.



გერმანელებს ქართველებთან რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელი არ ეყოლებათ — კრისტოფ მეცელდერი, ტიმ ბოროვსკი, პერ მერტესაკერი...

## კალჩოპოლი ინტერიტორიაზე



კალჩოპოლის სკანდალი კვლავ „ინტერის“ შორიახლოს ტრიალებს. შავ-ლურჯების პრეზიდენტი მასიმო მორატი მომდევნო კვირაში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე უნდა წარდგეს და სკანდალთან დაკავშირებულ საკითხებზე ილაპარაკოს, ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ მაგნატი ვინმემ დაკითხვაზე დაიბარა, მან თავად მოითხოვა გამომძიებლებთან შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით, შავ-ლურჯების შეფმა „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა:

„ძალიან კარგად ვიცი, რა გააკეთა „ინტერმა“ და რა გავაკეთე მე, ამიტომაც მეტისმეტად მიკვირს, ზოგიერთ თეორიას პრესაში დიდი ენთუზიაზმით რომ აიტაცებენ ხოლმე“.

შეგახსენებთ, რომ მორატის ბრალად მსაჯ მასიმო დე სანტისისთვის კერძო დეტექტივის მიჩენასა და მისი სატელეფონო საუბრების მოსმენასაც სდებდნენ. ამას „ინტერის“ პრეზიდენტი უარყოფს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქამდე იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ამ საქმის გამოძიებას თითქოს არ აპირებდა, მაგრამ აპენინური გაზეთების ბოლო ცნობებით, გამოძიებათა ხელმძღვანელი ფრანჩესკო სავერიო ბორელი აუცილებლად შეუდგება ამ ოთხი წლის წინანდელ ამბავში ჩხრეკას.

# РУССКАЯ ТУАЛЕТКА

## რუსის წესი უწესობაა

ლამის ოცი წელია არეულ-დარეული და გაყოფილი საჭადრაკო სამყაროს გამაერთიანებელ საჩემპიონო მატჩში რაღაც მსგავსი რომ შეიძლებოდა მომხდარიყო, ადვილი წარმოსადგენი გახლდათ, მაგრამ საჩემპიონო ორთაბრძოლა სატუალეტო ომში თუ გადაიზრდებოდა, ამას ვერავინ იფიქრებდა.

ვლადიმირ კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის მატჩი ჰაერში გამოეკიდა. გუშინ რუსი კრამნიკი მეხუთე პარტიის სათამაშოდ არ გამოცხადდა და ფიდეს წესებით მთავარმა არბიტრმა მას პარტიაში წაგება ჩაუთვალა, მაგრამ თავად კრამნიკი სხვას აცხადებს — მზად ვარ, მეხუთე პარტია შაბათს ვითამაშო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი უფლებები დაცული იქნებაო.

და რაში და სად შეილახა კრამნიკის უფლებები?

საქმე ისაა, რომ ტოპალოვის გუნდმა ეჭვი გამოთქვა, კრამნიკი ძალიან საეჭვოდ ხშირად, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ გარბის მისთვის განკუთვნილ ტუალეტში, სადაც ვიდეო და აუდიოაპარატურა არ არის დამონტაჟებული და ამიტომ მოვითხოვთ, გაუქმდეს კერძო ფეხსალაგები და მოჭადრაკეებმა საერთო ტუალეტით ისარგებლონო.

ამის გარდა, ბულგარელებს სხვა მოთხოვნებიც ჰქონდათ, მაგრამ მატჩის სააპელაციო კომიტეტმა გეორგიოს მაკროპულოსის, ხორხე ვეგასა და ზურაბ აზმაიფარაშვილის შემადგენლობით მხოლოდ ერთი, თუმცა მთავარი დააკმაყოფილა — მეტოქეთა მოსასვენებელ ოთახებში საპირფარეშოები დაკეტა და ბრძანა, ამიერიდან კრამნიკმაც და ტოპალოვმაც ერთი ტუალეტით ისარგებლონო.

აი, სწორედ ეს მიიჩნია რუსმა მისი უფლებების შელახვად და, მე ჩემი ტუალეტი მინდაო, ბრძანა.

რაღაც მართლა საეჭვოდ უნდა. ეტყობა, ბულგარელები არ ცდებიან და იმ ტუალეტში უნიტაზისა და ხელსაბანის გარდა რუსული ძაღლის თავიცაა დამარხული.





ბენი მაკარტის ზალცბურგული გოლი ზურაბ ხიზანიშვილმაც მიულოცა

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა" სეზონი მძიმედ დაიწყო, თუმც ბოლო ხანს უკეთ ათამაშდა. სეზონის დასაწყისი არც ხიზანიშვილისთვის გამოდგა კარგი — საზარდული ასტკივდა და ოპტიმალური ფორმიდან ამოვარდა. ყველაფერი ეს მის სანაკრებო თამაშებზეც აისახა — ზურას ხომ აშკარად მეტი შეუძლია, ვიდრე მან საფრანგეთთან და უკრაინასთან ითამაშა...

„ბლექბერნმა" უეფას თასის პირველ ეტაპზე ავსტრიულ „ზალცბურგს" გუშინწინ 2:0 სძლია (პირველი მატჩი 2:2) და ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ხიზანიშვილს კი ჯერ „ზალცბურგთან" მატჩზე ჩამოვუგდეთ სიტყვა

# ასე მხოლოდ ჩვენ ვაგებთ

## ხიზანიშვილს საზარდული ისევ აწუხებს

— „ზალცბურგს" ორი ტანმაღალი ფორვარდი ჰყავდა — ალექსანდერ ციკლერი და მარკო იანკო. ციკლერს ყველა კარგად იცნობს, იანკო კი მასზე უფრო მაღალია, თუმც ათლეტურ თავდამსხმელებთან გამკვლავება არ გაგვჭირვებია — მეტოქეს ერთი საგოლე მომენტიც არ ჰქონია.

**— პრემიერლიგაში რომ ცუდი სტარტი გქონდათ, ეს რისი ბრალი იყო?**

— ალბათ იმის, რომ გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვიდა. პრემიერლიგის პირველ ოთხ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ, მაგრამ ბოლო ორი მატჩი მოვიგეთ და შეიძლება ითქვას, რომ „ბლექბერნი" უკვე ისე ათამაშდა, როგორც წინა სეზონში.

**— სანაკრებო თემაზე გადავერთოთ — უკრაინასთან მატჩში პირველი გოლი ანდრეი შევჩენკომ რომ გაიტანა, მასთან ახლოს იყავი — შეუძლებელი იყო მისთვის ხელის შეშლა?**

— შეუძლებელი არაფერი იყო, უბრალოდ, იმ ეპიზოდში მცველები ერთმანეთის იმედზე დავრჩით და მერე ყველამ დავაგვიანეთ შევჩენკოსთვის ხელის შეშლა.

**— მანამდე საფრანგეთთან წავაგეთ 0:3 და ალბათ არც მაშინ იყავი კარგ ფორმაში, საზარდულის ტრავმა ახალი მოშუშებული გქონდა....**

— საფრანგეთთან ალბათ მთელი გუნდი ვერ ვიყავით ფორმაში, უკრაინასთან კი ისეთი თამაში იყო, მხოლოდ ჩვენ თუ წავაგებდით ასეთ შეხვედრას...

**— „მხოლოდ ჩვენ" რატომ?**

— სათამაშო გამოცდილება არ გვყოფნის.

**— საკუთარ თავზე რას იტყოდი, ოპტიმალურ ფორმას უკვე მიუახლოვდი?**

— საზარდულის ტრავმის გამო სამი კვირა გამიცდა, რის შემდეგაც საკმაოდ ბევრი მატჩი ვითამაშე — პრემიერლიგა, უეფას თასი, ნაკრები. ახლა უწინდელზე უკეთესად ვარ, მაგრამ ასი პროცენტით ჯანზე მყოფი არ მეთქმის — საზარდული ისევ მაწუხებს.

**— მაინც რა ტრავმაა ასეთი, ამდენი ხანი რომ არ გეშვება?**

— საზარდული ყოველი ვარჯიშის თუ თამაშის წინ მტკივა, მაგრამ როცა გავხურდები, ტკივილი მიქრება, თუმც თამაშისას მაინც შემახსენებს ხოლმე თავს, უფრო მეორე ტაიმში. მოკლედ, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ ვარ — ან თავისით უნდა გამიაროს ტკივილმა, ან ოპერაცია უნდა გავიკეთო. არა მგონია, ტკივილმა თავისით გამიაროს, თუმც ვნახოთ...

**— შესარჩევ ეტაპზე მომდევნო მატჩი იტალიასთან გვაქვს და, როგორ ფიქრობ, მალხაზ ასათიანის არყოფნა რამდენად იმოქმედებს ჩვენს ნაკრებზე?**

— ლევან კობიაშვილის და გოგიტა გოგუას არყოფნას ესეც დაემატა, წამყვანი ფეხბურთელების არყოლა ნებისმიერ შემთხვევაში დიდი დანაკლისია. ღმერთმა ქნას, ასათიანის შემცვლელი გამოჩნდეს, მაგრამ ეს ძალიან ძნელია...

**დავით თავართქილაძე**



# ჭელიძე დაბრუნდა და როდის დაბრუნდება?

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" 19 წლის ქართველი თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე დღეს საფრანგეთიდან მოსკოვში ბრუნდება — ჭელიძე რკინიგზელი კლუბის ხელმძღვანელობამ გაუშვა საფრანგეთში, რათა იქაურ ექიმებთან ემკურნალა.

გიორგის მაისის მერე აწუხებს ტრავმა და წესით, ფრანგული კურსის შემდეგ პრობლემებმა აღარ უნდა შეაწუხოს.

როგორც შევიტყვეთ, იგი თავს უკვე უკეთ გრძნობს და შესაძლოა, მალე ვარჯიშიც განაახლოს.

**კახა შალამბერიძე**

# ჰაინცის ვლახურ-ოპტიმალური





**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების ღირსებას ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიცავენ.

ამ ეტაპს რუმინეთი უმასპინძლებს და ქართველი ფეხბურთელები იქ მუდმივი ნომრებით ითამაშებენ...

***მეკარეები:*** *1. რევაზ თევდორაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), 12. თეიმურაზ კაკალაძე (ბათუმი);*

***მცველები:*** *2. გულვერდ თომაშვილი (დინამო), 3. გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), 4. გიორგი ელბაქიძე (ამერი), 8. დავით მჭედლიშვილი (ამერი), 13. ზურაბ გვაძაბია (ამერი), 18. ლაშა თოთაძე (გაგრა);*

***ნახევარმცველები:*** *5. გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), 6. ნიკო კვასხვაძე (ზესტაფონი), 7. მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), 14. რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია), 15. თამაზ ჩარგეიშვილი (დინამო), 16. ზურაბ მაილაშვილი (მერანი), 17. ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი);*

***თავდამსხმელები:*** *9. ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), 10. რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), 11. ვახტანგ კვარაცხელია (ოლიმპი).*

როგორც ხედავთ, უფროს ტოპმიოლერს სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობა მიჰყავს რუმინეთში.

შეგახსენებთ, ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის ელიტ-რაუნდში, სადაც ასევე ოთხგუნდა ჯგუფი შეიქმნება და იქიდან მხოლოდ გამარჯვებული გააღწევს ფინალურ ეტაპზე.

ხვალ, გამთენიისას ნაკრები რუმინეთში სტამბოლის გავლით გაემგზავრება, ხოლო 4 ოქტომბერს პირველ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან, 6-ში მასპინძლებს გაეჯიბრება, 9 ოქტომბერს კი ბელგიას. ნაკრების კაპიტანი მირზა ბჟალავა იქნება.

ცნობისთვის: ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა მოსამზადებელ შეკრებაზე სამი საკონტროლო შეხვედრა გამართა, რომელთაგან ორი მოიგო და ერთი წააგო. 19-წლამდელებმა „მერანს" 2:0, ხოლო „გაგრას" 3:0 სძლიეს, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებთან კი 0:2 დამარცხდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა წინა ევროშესარჩევის ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია.

## ინგლისი

ჩემპიონატი. X ტური
კოლჩესტერი 1:0 იფსვიჩი
მეორე ლიგა. XII ტური
დარლინგტონი 2:2 გრიმსბი

## გერმანია

ბუნდესლიგა. VI ტური
დორტმუნდი 2:2 ჰანოვერი
II ბუნდესლიგა. VI ტური
კობლენცი 1:1 ოფენბახი
პადერბორნი 2:0 კიოლნი
უნტერჰახინგი 1:1 ლაუტერნი
სამხრეთ რეგიონალლიგა X ტური
ჰოფენჰაიმი 4:2 დარმშტადტი

## ავსტრია

I დივიზიონი. XI ტური
ადმირა 2:0 პარნდორფი
ლუსტენაუ 1:1 გრატკორნი
ჰარტბერგი 1:2 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 0:1 აუსტრია (მ)
კერნტენი 2:3 ლეობენი
შვანენშტადტი 1:3 ლინცერი

## იტალია

სერია B. V ტური
არეცო 0:1 ბარი
სერია C1/B. V ტური
სან მარინო 1:2 რავენა

## საფრანგეთი

II დივიზიონი. X ტური
აიაჩო 2:2 სტრასბური
შატორუ 1:1 რეიმსი
კრეტეი 1:0 ისტრი
გრენობლი 0:0 ბრესტი
ლე ავრი 6:1 გენიონი
მონპელიე 3:0 დიჟონი
ნიორი 1:1 მეცი
ტურსი 1:2 ლიბურნი
გენგამი 1:3 კაენი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. VI ტური
ნაიმეგენი 2:0 ჰერაკლესი
II დივიზიონი. IX ტური
აპელდორნი 2:3 ჰაარლემი
კამბური 0:2 ემენი
დენ ბოსხი 1:1 იგლსი
დორდრეხტი 2:0 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 1:2 გრააფსხაპი
ალმერე 1:4 როზენდალი
ზვოლე 1:2 ვენლო
სიტარდი 1:3 ვოლენდამი
ტელსტარი 1:0 მაასტრიხტი
ვეენდამი 2:0 ოსი

## პორტუგალია

სუპერლიგა. V ტური
ნავალი 2:1 ბეირა მარი

## პოლონეთი

პირველი ლიგა. IX ტური
ბელხატოვი 1:2 ლოძი

## ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
კორკი 6:0 ბერი
ასოციაციის თასი
IV ეტაპი
*სენტ პატრიკსი* 4:1 ლონგფორდი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
VIII ტური
ვაშაში 3:2 დიორი

## შვეიცარია

თასის 1/16 ფინალი
ლოკარნო 0:1 *შაფჰაუზენი*
ბელინცონა 0:1 *კიასო*
ძსამაძსი 0:3 *იანგ ბოისი*

სამი ახალბედა და ერთიც დაბრუნებული — ეს სიახლეებია გერმანიის ეროვნული ნაკრების იმ შემადგენლობაში, რომელიც 7 ოქტომბერს როსტოკში საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან და 11 ოქტომბერს ბრატისლავაში სლოვაკეთის წინააღმდეგ სათამაშოდ მოემზადება. ბუნდესნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა პირველად გამოიძახა მარჯვენაფლანგელი კლემენს ფრიცი („ვერდერი“), ნახევარმცველი პიოტრ ტროხოვსკი („ჰამბურგი“) და თავდამსხმელი იან შლაუდრაფი („ალემანია“), ხოლო მეკარე რობერტ ენკემ („ჰანოვერი“) ჯერ კიდევ 1999 წელს მექსიკაში, ფიფას კონფედერაციათა თასზე ითამაშა...


იოახიმ ლიოვი და ოლივერ ბირჰოფი

# ლიოვის განმარტებანი

## გერმანიას საქართველო გადაეძღო

„რობერტ ენკეს ნაკრებში მიწვევა ჯილდოა იმ სამუშაოსთვის, რომელიც მან წლების განმავლობაში ბუნდესლიგაში გასწია“ — ასე ხსნის იოახიმ ლიოვი „ჰანოვერის“ მეკარის გამოძახებას.

ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთაგან ბუნდესნაკრებში 15 მოთამაშე მოხვდა.

ოლივერ კანის გარდა, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა, ამ ორ მატჩში ეროვნული გუნდის ღირსებას არ დაიცავენ მუნდიალის მონაწილე კრისტოფ მეცელდერი, პერ მერტესაკერი, იენს ნოვოტნი, რობერტ ჰუთი, ჯერალდ ასამოა, ტიმ ბოროვსკი და სებასტიან კელი.

სამშაბათს „ვერდერის“ მწვრთნელ თომას შააფთან საუბრის შემდეგ იოახიმ ლიოვისთვის ცხადი გახდა, რომ მერტესაკერის მინდორზე გასვლა ჯერ ადრეა, რადგან მას ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია. იგივე ითქმის ნოვოტნიზე, ჰუთსა და მეცელდერზე.

თუმცა ტრავმის მიუხედავად ნაკრებში მიიწვიეს ოლივერ ნოივილი.

„ოლივერთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, იგი მაინც გამომეძახა. იმედი მაქვს, გამოჯანმრთელებას მოასწრებს და ამ ორ მატჩში დაგვეხმარება“ — განაცხადა ლიოვმა.

სწორედ ამდენი დაშავებულის გამო იოახიმ ლიოვმა რამდენიმე ახალგაზრდას მისცა შანსი.

„შევხვდი 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ დიტერ აილტსს და გადავწყვიტეთ, ტრავმირებული ტიმ ბოროვსკი პიოტრ ტროხოვსკით შეგვეცვალა. ჩვენ მას რამდენიმე თვეა, ვაკვირდებით და მიგვაჩნია, რომ სადღეისოდ საუკეთესო არჩევანია. ჩვენზე განსაკუთრებით მისმა ტექნიკურობამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. ვფიქრობ, იგი კარგად შეეწყობა ნაკრებს“ — განაცხადა ლიოვმა, ვინც დებიუტანტ კლემენს ფრიცის გამოძახების თაობაზეც აკეთებს კომენტარს: „მან ამ სეზონში „ვერდერში“ ძალიან კარგად ითამაშა. ჩვენი შტაბი ფრიცს აკვირდებოდა და ისიც ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან ნამდვილად დაიმსახურა შანსი“.

გერმანიის ნაკრების თავკაცი ასევე ახალბედა იან შლაუდრაფსაც შეეხო: „იანი „ალემანიაში“ ერთ-ერთი საუკეთესოა. ესეც რომ არ იყოს, კარგა ხანია, ნაკრების რეზერვისტად ითვლება“.

**ნინო სილაგაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **მეკარეები** | | | |
| 1 | იენს ლემანი | 10.11.69 | არსენალი, ინგლისი | 41 | - |
| 12 | ტიმო ჰილდებრანდი | 05.04.79 | შტუტგარტი | 3 | - |
| 23 | რობერტ ენკე | 24.08.77 | ჰანოვერი | - | - |
| | | **მცველები** | | | |
| 2 | მარსელ იანსენი | 04.11.85 | მიონხენგლადბახი | 11 | - |
| 3 | არნე ფრიდრიხი | 29.05.79 | ჰერტა | 45 | - |
| 16 | ფილიპ ლამი | 11.11.83 | ბაიერნი | 28 | 2 |
| 24 | მანუელ ფრიდრიხი | 13.09.79 | მაინცი | 3 | 1 |
| 25 | მალიკ ფატი | 29.10.83 | ჰერტა | 1 | - |
| 26 | ალექსანდერ მადლუნგი | 11.07.82 | ვოლფსბურგი | - | - |
| 27 | კლემენს ფრიცი | 07.12.80 | ვერდერი | - | - |
| | | **ნახევარმცველები** | | | |
| 7 | ბასტიან შვაინშტაიგერი | 01.08.84 | ბაიერნი | 38 | 11 |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | 22.11.76 | ვერდერი | 61 | 8 |
| 13 | მიხაელ ბალაკი | 26.09.76 | ჩელსი, ინგლისი | 72 | 32 |
| 15 | თომას ჰიცლშპერგერი | 05.04.82 | შტუტგარტი | 18 | 2 |
| 19 | ბერნდ შნაიდერი | 17.11.73 | ლევერკუზენი | 74 | 3 |
| 22 | დავიდ ოდონკორი | 21.02.84 | ბეტისი, ესპანეთი | 7 | - |
| 28 | პიოტრ ტროხოვსკი | 22.03.84 | ჰამბურგი | - | - |
| | | **თავდამსხმელები** | | | |
| 9 | მაიკ ჰანკე | 05.11.83 | ვოლფსბურგი | 7 | 1 |
| 11 | მიროსლავ კლოზე | 09.06.78 | ვერდერი | 65 | 33 |
| 10 | ოლივერ ნოივილი | 01.05.73 | მიონხენგლადბახი | 64 | 9 |
| 20 | ლუკაშ პოდოლსკი | 04.06.85 | ბაიერნი | 35 | 20 |
| | იან შლაუდრაფი | 18.07.83 | ალემანია | - | - |

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

# საბჭოთა რაიმონი 2010


გურამ ტყეშელაშვილის ფოტო

**ევრო 2008-ის** შესარჩევში ჩვენი მეტოქის, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს კონტრაქტი გაუგრძელეს — ის 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართ მუნდიალამდე უთავკაცებს ეროვნულ გუნდს.

დომენეკს კონტრაქტის გახანგრძლივება გერმანია 2006-ის დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ შესთავაზა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ, მაგრამ მსჯელობა იყო მხოლოდ იმაზე, რამდენი ხნით გაეგრძელებინათ ხელშეკრულება მასთან.

„საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის საბჭომ ამით თავისი მხარდაჭერა გამოხატა დომენეკისადმი. კონტრაქტის ხანგრძლივობა მას ხელს შეუწყობს, ხორცი შეასხას თავის პოლიტიკას და გუნდმა გააგრძელოს იმ სტილით თამაში, როგორიც გერმანიაში აჩვენა“ — განაცხადა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალატესმა, ვისაც კონტრაქტის დეტალები არ გაუმჟღავნებია.

**დავით თავართქილაძე**

# სმიტის 25 მამაცი გული

**შოტლანდიის** ნაკრებმა ევროშესარჩევის ორი მატჩიდან ექვსი ქულა გამოძერწა და მოახლოებულ ბრძოლებს კარგ ხასიათზე ხვდება: 7 ოქტომბერს უოლტერ სმიტის გუნდი გლაზგოში საფრანგეთს დაუხვდება, 11-ში კი კიევში უკრაინას ჩააკითხავს.

„მამაცი გულების“ 25-კაციან შემადგენლობას აქვე გთავაზობთ — თავადაც ხედავთ, სმიტს ჩვენნაირი პრობლემები ასცდა და ყველა უძლიერესი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, ევერტონელი გარი ნეისმიტის გარდა.

***მეკარეები:*** *ნილ ალექსანდერი (კარდიფი, უელსი), პოლ გალაჰერი (ნორვიჩი, ინგლისი), კრეიგ გორდონი (ჰართსი);*

***მცველები:*** *გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი (სელტიკი), სტივენ მაკმანუსი (სელტიკი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კევინ მაკნაუტონი (კარდიფი, უელსი), გრემ მარტი (რედინგი, ინგლისი), დევიდ ვეირი (ევერტონი, ინგლისი), სტივენ პრესლი (ჰართსი), რობი ნილსონი (ჰართსი);*

***ნახევარმცველები:*** *სკოტ ბრაუნი (ჰიბერნიანი), ბარი ფერგიუსონი (გლაზგო რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პოლ ჰარტლი (ჰართსი), გარი ტილი (უიგანი, ინგლისი), ლი მაკკალოჰი (უიგანი, ინგლისი), ნაიჯელ ქვოში (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), სკოტ სევერინი (აბერდინი);*

***თავდამსხმელები:*** *კრის ბოიდი (გლაზგო რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), კენი მილერი (სელტიკი), გარი ოკონორი (ლოკომოტივი, რუსეთი).*

**ილია ნანობაშვილი**


გარი ნეისმიტი შოტლანდიელთა ერთადერთი დანაკლისია

# მამის საათზე მარსელის დროა

## დუშან უჰრინი: დინამო თბილი ქვეყანაა



ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამოში“ ორი კვირის წინ დანიშნული დუშან უჰრინის ვაჟის, დუშან უჰრინის გაწვრთნილმა ჩეხურმა „ბოლესლავმა“ გუშინწინ უეფას თასის პირველი ეტაპიდან სახელოვანი „მარსელი“ დაიფრინა. ჩვენთვის, აბა, ეს რა დიდი ამბავია, მაგრამ საინტერესო კი ნამდვილად არის, რომ თბილისში ჩამოსვლამდე დუშან უჰრინი უფროსი დუშან უჰრინ უმცროსის თხოვნით მეტოქის დასაზვერად სწორედაც მარსელში გახლდათ და, როგორც ჩანს, ისეთები უთხრა, რაც ფრანგების დასამარცხებლად საკმარისი გამოდგა. ჩვენ კი ჩვენს დუშან უჰრინს გუშინ „დინამოს“ დიღმის ბაზაზე შევხვდით და საუბარიც უმცროსი უჰრინის წარმატებით დავიწყეთ. უფროსი უჰრინი, რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული იყო და მილოცვისთანავე ჩეხური ვებგვერდებიდან ამობეჭდილი ტექსტების კითხვა დაიწყო — ჩვენი ჩეხი კოლეგები უჰრინებს გამარჯვებას ულოცავდნენ, ყოველ მეორე აბზაცს კი ასე იწყებდნენ — „შვილი მამის კვალზე...“ ცნობისთვის: 14 წლის წინ „მარსელის“ დამარცხება უფროსი უჰრინის „სპარტამაც“ შეძლო.

— დიახ, ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ, ყოჩაღ, ჩემს ვაჟს!

**— დღეს რომ ის მწვრთნელია, მამის დამსახურებაა? თქვენ ურჩიეთ შვილს მწვრთნელობა?**

— არა, რას ამბობთ, პირიქით, მისი მწვრთნელობის წინააღმდეგი ვიყავი. ეს გზა თავად აირჩია. ვეუბნებოდი, რომ მწვრთნელობა უმძიმესი საქმეა, დღედაღამ უნდა ისწავლო, იშრომო, იფიქრო-მეთქი. მაგრამ მან გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო და მას შემდეგ მაქსიმალურად ხელს ვუწყობ. იცით, დღეს ჩეხმა ჟურნალისტმა დამირეკა და მკითხა, თქვენი შვილი თქვენზე ძლიერი იქნებაო? ვუპასუხე, რომ — დიახ. თანამედროვე მწვრთნელისთვის აუცილებელია აგრესია, ის კი ჩემზე გაცილებით აგრესიულია. 1996 წელს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს და საათით დამასაჩუქრეს, რომელსაც შესაბამისი წარწერაც ამშვენებს. ჰოდა, როცა დუშანმა მწვრთნელობა გადაწყვიტა, ეს საათი მას ვუსახსოვრე, გავამხნევე და ამ რთულ გზაზე წარმატება ვუსურვე.

**— უმცროსი უჰრინი უფროს უჰრინს რჩევას ხშირად ეკითხება?**

— როცა ამას საჭიროდ თვლის. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ „მარსელის“ დაზვერვა მთხოვა და მერე გარკვეული რჩევაც მივეცი. ის ახლა ბედნიერი კაცია...

**— თქვენ როგორ გრძნობთ თავს თბილისში?**

— მშვენივრად. აქ ძალიან კარგი სიტუაციაა. „დინამოს“ ეს ბაზა კი ძალიან ჰგავს პრაღის „სპარტას“ ბაზას. ასეთი ბაზა კი ჩეხეთში მხოლოდ „სპარტას“ აქვს.

**— როგორც პრესკონფერენციაზე თქვით, საქართველოში ადრეც ყოფილხართ.**

— დიახ, 1985 წელს ბათუმში, გაგრაში და ლესელიძეში ვიყავი. მაშინ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ტურნირი გაიმართა, რომელშიც მინსკის, კიევის, თბილისის და მოსკოვის გუნდებთან ერთად ჩვენი, ჩეხური გუნდიც მონაწილეობდა.

**— ახლა კი ჩვენთან დიდი ხნით ჩამოხვედით. რატომ?**

— საქართველო ძალიან კარგი ქვეყანაა, თბილისის „დინამო“ კი ძალიან სახელოვანი კლუბი. თავის დროზე ჩეხეთის ნაკრებთან კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივებას მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვთქვი. ნაკრები საუდის არაბეთში კონფედერაციათა თასზე ვათამაშე, სადაც მესამე ადგილზე გავედით და მერე ეროვნულ გუნდს ჩამოვშორდი. აღარ მსურდა ნაკრებში მუშაობა და იმიტომ, კლუბში მინდოდა. ამიტომაც ვიყავი შვედეთში, საუდის არაბეთში, ქუვეითში, ისრაელში... საერთოდ, თბილ ქვეყნებს ვამჯობინებ, ჩემი ჯანმრთელობისთვის ასე უკეთესია.

**— როგორც გავიგეთ, „დინამოში“ თქვენი ჩამოსვლის მიზეზი თქვენი ამბიციაც იყო. ითქვა, რომ დუშან უჰრინს სურს, „დინამოს“ წარმატებით საფეხბურთო ევროპას თავი შეახსენოსო...**

— რატომაც არა?! სადაც მიმუშავია, ყველგან მაქსიმუმი გამიკეთებია. მაგალითად, ჰაიფას „მაკაბი“ პირველად ისრაელის ისტორიაში თასების თასის მეოთხედფინალში გავიყვანე, ხოლო შვედეთში „იურგორდენი“, რომელიც ჩემამდე ბოლო ადგილზე იყო, იმავე სეზონში მეხუთე ადგილზე გავიყვანე, მეტიც შეიძლებოდა, მაგალითად, თასის მოპოვება, მაგრამ გუნდის ექიმები შეცდნენ, რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს ვირუსი შეჰყარეს, მერე კი თავიანთი დანაშაული ველარ გამოასწორეს და თამაშმა, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით მოგვიწია.

**— შემადგენლობაზე გამახსენდა... ევრო 96-ის ნახევარფინალშიც, საფრანგეთთან თქვენს ჩეხეთს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა.**

— ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ეს გახსოვთ. მაშინ უეფას ერთგვარი პოლიტიკის შედეგი იყო, მეოთხედფინალში ჩვენს ფეხბურთელებს წითელ-ყვითელი ბარათები რომ უფრიალეს, ალბათ, აწყობდათ, რომ ფინალში არა ჩეხეთს, არამედ საფრანგეთს ეთამაშა. იმ ნახევარფინალში ძირითადის ხუთი ფეხბურთელი არ გვყავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც მოვიგეთ.

**— მერე კი ევროპის ჩემპიონატის ფინალი და გერმანელი ბირჰოფის „ოქროს გოლი“ იყო. გაიხსენებთ იმ მატჩს?**

— კი გავიხსენებ, მაგრამ... ძალიან დრამატული თამაში გამოვიდა. დღესაც ამბობენ, რომ მეორე, „ოქროს გოლი“ ბირჰოფმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანა, მაშინ თანამსაჯმა ეს დააფიქსირა, მაგრამ არბიტრმა მას არ დაუჯერა. ჩემი ბიჭები იმ წუთში ძალიან შემეცოდნენ.

**— ეს წუთი თქვენს საფეხბურთო ცხოვრებაში ყველაზე მძიმე იყო?**

— არა, ასე ვერ ვიტყოდი. ჩეხეთის ნაკრებისთვის მეორე ადგილიც დიდი მიღწევა იყო.

**— ნედვედი, პობორსკი, კუკა, შმიცერი, ბერგერი — ეს და სხვა ფეხბურთელები 1996 წელს სწორედ თქვენ დააწინაურეთ. დღეს გაქვთ მათთან ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა. იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებსაც ფეხბურთელებთან ურთიერთობა მხოლოდ მოედანზე აქვთ. ესენიც და სხვა ბიჭებიც დღესაც ჩემი მეგობრები არიან.

**— ფიქრობთ, რომ ჩეხეთის იმ ნაკრების ყველა ფეხბურთელმა კარიერაში მაქსიმუმს მიაღწია?**

— ალბათ, ასეა. მაგალითად ნედვედზე ვიტყვი, რომ მას ფეხბურთის თამაშის დიდი ნიჭი არ ჰქონდა, მაგრამ ისე გულმოდგინედ ვარჯიშობდა, იმდენს შრომობდა და ისეთი მონდომებული იყო, მაშინვე დავრწმუნდი, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშებდა.

**— ყველაზე ნიჭიერი ვინ გყავდათ იმ ნაკრებში?**

— ვერ გამოვარჩევ. კონკრეტულად არც ერთი ფეხბურთელის ნიჭი არ გამოირჩეოდა, ჩვენ გუნდურ ფეხბურთს ვთამაშობდით და მთლიანად გუნდი გამოვიდა ნიჭიერი. ხან შმიცერი ჩანდა, ხან პობორსკი...

**— პრესკონფერენციაზე ისიც თქვით, ისეთი ფეხბურთის მიმდევარი ვარ, რომელიც კარგ შედეგს მოიტანსო. იქნებ ახლა მაინც გვითხრათ კონკრეტულად — როგორი ფეხბურთი მოგწონთ?**

— იცით, როცა გუნდს ვაკეთებ, ჩემთვის მთავარია, გუნდში კარგი ატმოსფერო იყოს. ტაქტიკა-ტექნიკა, ფიზმომზადება კი ამის შემდეგ მოდის. სასიამოვნოა, რომ ჩემი თანაშემწე კახა კაჭარავა ჩემს ამგვარ პრინციპს ბოლომდე ეთანხმება. ეს კი საქმეს მიიოლებს.

**— 80-იანი წლების „დინამოს“ თამაშები გინახავთ?**

— არა, მატჩებს მაშინ ვერ ვნახულობდი, თუმცა შედეგები კარგად ვიცი. თბილისის „დინამო“ ჩეხეთში და საერთოდ ევროპაში ძალიან პოპულარული გუნდია.

**— თქვენთვის იდეალური, მისაბაძი მწვრთნელი იყო ვინმე?**

— მიჭირს პასუხი, ყოველთვის ვცდილობ, ჩემი საკუთარი და ახალი რამ გავაკეთო. ისე კი, ჩეხი ვაცლავ იეჟეკი იყო ძალიან ძლიერი მწვრთნელი, ასევე ვიტლაჩილი და გერმანელი ვაისვაილერი. ვცდილობდი, ცოტა-ცოტა მათგან მესწავლა.

**— ამჟამად რომელი მწვრთნელი მოგწონთ?**

— მარჩელო ლიპი. ის დიდი სტრატეგია. „იუვენტუსშიც“ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდა და აგერ, იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა. ასეთ შედეგს შემთხვევით ვერ მიაღწევ.

**— ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?**

— რონალდინიო და ზიდანი იყვნენ ჩემთვის საუკეთესონი, მაგრამ მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე... რონალდინიომ საერთოდ ვერაფერი გააკეთა, თამაშობდა თუ არა, ვერ შეამჩნევდი, ხოლო ზიდანი ძალიან ცუდად მოიქცა. ფეხბურთი მხოლოდ ბურთის თამაში არ არის, ფსიქოლოგიურადაც გაწონასწორებული ადამიანი უნდა იყო.

**— ერთიც: თქვენ სახელოვანი მწვრთნელი ხართ და სახელოვან გუნდში სამუშაოდ ჩამოხვედით. თბილისის „დინამოს“ კი ძალიან ბევრი ქომაგი ჰყავს. რას ეტყვით მათ, როგორ „დინამოს“ ნახავენ ისინი თქვენს ხელში?**

— ვერავის შევპირდები, „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგას მოვაგებინებ-მეთქი, მაგრამ იმას გეტყვით, რომ ჩემი ხელმძღვანელობით „დინამო“ ლამაზ და კარგ ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენ ბევრს ვიმუშავებთ, ვიშრომებთ, მოვინდომებთ, ეს ყველაფერი კი შედეგს აუცილებლად მოიტანს.

**ქობა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ის ურჩევნია ჩეხეთსა...

## ბოლესლავში თბილისი ახსენეს

„**ბოლოს** უმუშევარი ვიყავი და ჩემს შვილს ვეხმარებოდი. ახლახან საფრანგეთში გახლდით და „მარსელზე“ ინფორმაცია შევაგროვე. იმედი მაქვს, ჩემი ვაჟის „ბოლესლავი“ ამას გამოიყენებს და უეფას თასის მომდევნო ეტაპზე გავა“ — ეს სიტყვები თბილისის „დინამოს“ თავკაცმა დუშან უჰრინმა თბილისში ჩამოსვლის პირველივე დღეს გვითხრა და აგერ შედეგიც: დუშან უჰრინ-უმცროსის „ბოლესლავმა“ გუშინწინ „მარსელს“ 4:2 მოუგო, სტუმრად წაგებული 0:1 აინაზღაურა და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„ეს ყველაზე იღბლიანი დღეა ჩემს კარიერაში — განაცხადა ნამატჩევს უჰრინ-უმცროსმა — ბედნიერი ვარ, რომ „მარსელი“ სასურველი ანგარიშით დავამარცხეთ“.

„ბოლესლავის“ თავკაცს გული მხოლოდ იმაზე დასწყდა, რომ მამამისი, დუშან უჰრინ-უფროსი მატჩს ვერ დაესწრო და შვილის წარმატება საკუთარი თვალით ვერ ნახა.

„მამაჩემს თამაში არ უნახავს, იგი ახლა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელია და ჩეხეთში ჩამოსვლას ვერ შეძლებდა. სიმართლე გითხრათ, მას ჩემი გუნდის თამაში სამჯერ თუ ექნება ნანახი“ — განაცხადა უმცროსმა უჰრინმა.

**კახა ზალამბერიძე**

# რიარია მადრიდში

## იტალიელი მექსიკელის წინააღმდეგ





კვირას „ბერნაბეუზე" ერთმანეთს, ტაქტიკაზე, დაცვით სტილსა და დისციპლინაზე შეყვარებული ორი მწვრთნელი შეეჯახება. ფაბიო კაპელო ხავიერ აგირეს წინააღმდეგ, ანუ მადრიდულ დერბიში „რეალი" „ატლეტიკოს" უმასპინძლებს. დერბი მადრიდულია, მწვრთნელები კი — ერთი იტალიელი, მეორე მექსიკელი. „რეალის" და „ატლეტიკოს" მაესტროებმა მატჩისწინა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს

— უკვე მეშვიდე წელია, „ატლეტიკო" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალს" ვერ ამარცხებს...

*ხავიერ აგირე:* ამ შვიდი წლიდან მე „ატლეტიკოს" მწვრთნელი მხოლოდ ბოლო ორი თვე ვარ და ჩემი მადრიდული ისტორიაც აქედან იწყება. კვირას მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ „ატლეტიკოს" პირველად გავიყვან და დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მატჩს მოვიგებთ. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა. მე მომავალს და წარსულს არ ვუყურებ, მარტო აწმყოთი ვცხოვრობ.

*ფაბიო კაპელო:* ათი წლის წინანდელი „ატლეტიკო" კარგად მახსოვს, თუმცა მას შემდეგ გუნდში მწვრთნელები და ფეხბურთელები შეიცვალნენ. მინდა, ყველა მატჩი „რეალის" მოგებით დასრულდეს. საკვირაო დერბი უმნიშვნელოვანესია და ყველას გამარჯვება გვსურს.

— დერბიში ფავორიტად რომელ გუნდს დაასახელებდით?

*აგირე:* დერბიში ფავორიტები არ არსებობენ. მეც და კაპელოც კლუბებში ახალი მისულები ვართ, ფეხბურთელების გაცნობის და თამაშის ორგანიზების პროცესში ვიმყოფებით. თანამედროვე „რეალი" და „ატლეტიკო" ახლა ყალიბდება, თუმცა შინ თამაში „რეალს" მცირე უპირატესობას მაინც ანიჭებს. სადღეისოდ ამ ორ გუნდს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ვხედავ.

*კაპელო:* ასეთი თამაშები ჩვეულებრივი მატჩებიდან განსხვავდება. შიდაქალაქური დაპირისპირება, ინჩასებს შორის შეტაკებები... ბევრ დერბიში მიმიღია მონაწილეობა, მილანში, ტურინში, რომში, აქაც ზუსტად იგივე ხდება. ეს არის მატჩი, რომელსაც ჩვეულებრივს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. დერბიში ორივე მეტოქეს, მიუხედავად მათი სათამაშო დონისა, ძალიან უჭირთ ხოლმე.

— „რეალთან" თამაშის შედეგი „ატლეტიკოს" მომავალ სვლას განსაზღვრავს?

*აგირე:* არა მგონია, დერბის შედეგმა ჩვენზე ფატალური გავლენა მოახდინოს. მესმის, რომ შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა პრიმერადივიზიონში ჩვენს მომავალ ბედს, „რეალთან" მიღწეული შედეგი ნამდვილად არ განსაზღვრავს. შვიდი წელიწადია, „ბერნაბეუზე" არ მოგვიგია, მაგრამ ამის გამო დერბიში, მღელვარებისგან ხელფეხშებორკილები არ ვიქნებით.

— გამარჯვების მიღწევას რა გზით შეეცდებით?

*აგირე:* თქვენ რა, გინდათ, რომ ამაზე ფაბიოს თანდასწრებით ვილაპარაკო? შეცდომები არ უნდა დავუშვათ და ყურადღებით ვიყოთ. უნდა შევეცადოთ, ჩვენი ბურთაობა რაც შეიძლება, სრულყოფილი იყოს. „რეალთან" მოგებისთვის ეს არის საჭირო და პლუს ფორტუნაც, რა თქმა უნდა. მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში ვერ ჩავითვლებით, მაგრამ ბოლო ორი მატჩი მოგებული გვაქვს და ამ წარმატების შეწყვეტა არ გვინდა.

*კაპელო:* „ატლეტიკოს" თამაში კარგად ორგანიზებულია. ყველაზე მეტად ისინი საშიშნი კონტრშეტევებისას არიან. სწრაფი და მაღალტექნიკური მოიერიშეები ჰყავთ...

— სხვას რას გვეტყვით ატლეტიკოს" შესახებ?

*კაპელო:* რამდენიმე თამაში ვნახე ამ კლუბის მონაწილეობით. „ატლეტიკო" დონეს მატჩიდან მატჩამდე იმაღლებს. „რეალისთვის" მთავარ საფრთხეს მისი მოთამაშეების სისწრაფე წარმოადგენს.

*აგირე:* ჩემი გუნდი ჯერ კარგად ვერ თამაშობს, მაგრამ ვსწავლობთ... თუმც რაც აქამდე შევითვისეთ, „ბერნაბეუზე" მოსაგებად მშვენივრად გვეყოფა. ძნელი თამაშების ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება შეგვიძლია. გაიხსენეთ, „სევილიასთან" პირველ ტაიმში როგორ ცუდად გამოვიყურებოდით, მაგრამ მეორეში ბიჭები გამოფხიზლდნენ და გამარჯვებაც ვიზეიმეთ... რაც შეეხება ჩვენს საკვირაო მეტოქეს, ვერაფრით ვერ გავიგე, „რეალს" მედიაში რატომ აკრიტიკებენ. გუნდი ჩემპიონატში კარგად თამაშობს და აქამდე მარტო ერთი გოლი გაუშვა. მიუხედავად ამისა, პრესა ფაბიო კაპელოს და რაულს მაინც დაუნდობლად ლანძღავს.

—რას ფიქრობთ კაპელოს შესახებ?

*აგირე:* ფაბიო ნორმალური, ჩვეულებრივი და ფეხბურთზე შეყვარებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის არის კაცი, რომელთანაც საუბარი შეიძლება. კაპელოს დიდ პატივს ვცემ, როგორც მწვრთნელს და როგორც პიროვნებას.

— და კაპელო რას იტყვის აგირეზე?

*კაპელო:* „ოსასუნაში" ძალიან ნაყოფიერად იმუშავა. შანსი აქვს, მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელად იქცეს.

— სერხიო „კუნ" აგეროზე რას გვეტყვით?

*კაპელო:* ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ევროპულ ფეხბურთთან ადაპტირებისთვის დრო სჭირდება. თუმცა აქედანვე ეტყობა, რა შესანიშნავ ტექნიკას ფლობს. ცოტა უნდა დავუცადოთ და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ესპანურ ლიგაში ახალმოსული მოთამაშეები ხშირად ფიქრობენ, რომ ციდან ვარსკვლავებს ელვის სისწრაფით მოწყვეტენ, რაც სიმართლეს არ შეეფერება. აგერო კი მართლაც საინტერესო ფეხბურთელია.

— ფაბიო კაპელოს დაცვითი სქემებისადმი გადაჭარბებულ სიყვარულს სწამებენ...

*აგირე:* ასეთი კრიტიკა აბსურდად მეჩვენება. ვინც კაპელოს ყრუ, ჩაკეტილი ფეხბურთის სიყვარულს უკიჟინებს, მის მიერ გაწვრთნილ გუნდებს გადახედოს — ფაბიოს ხელში დაცვაც და თავდასხმაც ერთნაირად კარგი ჰქონდათ.

— სენიორ კაპელო, ლიგაზე კიევის „დინამოსთან" დიდი ანგარიშით მოგების შემდეგ „ატლეტიკოსთან" როტაციებს მიმართავთ?

*კაპელო:* შემადგენლობის ამბავი ჯერ არ გადამიწყვეტია. „დინამოსთან" კარგიც ბევრი იყო და ცუდიც, ჩვენ კი აქედან სწორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. უკრაინელებთან კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ გარკვეული პრობლემები გვქონდა. ჩემს გუნდს გაცილებით უკეთ თამაში შეუძლია.

— სერხიო აგერო მზად არის ასეთი დონის თამაში მონაწილეობის მისაღებად?

*აგირე:* თუ დიდ ომებს მოვარიდეთ, შესაბამის გამოცდილებას როდის შეიძენს? 18 წლის ბიჭისთვის „რეალის" წინააღმდეგ ბურთაობა მართლაც ძნელია და იმედია, გულშემატკივრები აგეროს ფოლადის ნერვებს არ მოსთხოვენ. ისე კი, „კუნი" კვირას ითამაშებს თუ არა, ჯერ არ გადამიწყვეტია. შეიძლება, მოედანზე სასტარტო თერთმეტში გამოჩნდეს, შეიძლება, შეცვლაზეც შევიდეს. პრობლემას ვერაფერში ვხედავ. ამ ფეხბურთელმა თავის სიძლიერეში უკვე დამარწმუნა.



აბრამოვიჩი და ბეიტსი: დრო იყო, ძმობა იყო

# მე ებრაელებს ფული ვაჩუქე...

## თეთრწვერა ეშმაკმა თავი დაიძვრინა

„ლიდსის" მენეჯერმა კენ ბეიტსმა ასოციაციის სასჯელისგან თავი დაიძვრინა. მომჩივანი მისი ყოფილი კლუბი „ჩელსი" იყო, რომელმაც თეთრწვერას რასობრივ შეურაცხყოფაში დასდო ბრალი.

ადრე ბეიტსმა „ჩელსის" „ციმბირელ გადამგდებთა ბანდა" უწოდა და „ჩელსიც" ანტისემიტიზმში ამხილდა.

„მე ანტისემიტი? — გაიკვირვა ეშმაკმა კენმა — 30 წლის წინათ, როცა ირლანდიაში ვცხოვრობდი, იქაურ ებრაულ საზოგადოებას 5 ათასი გირვანქა ვაჩუქე, ეს დიდი ფული იყო მაშინ. სჭირდებოდათ და უშურველად გავიღე".

„ლიდსსა" და „ჩელსის" შორის სიტყვათა ომი მაშინ დაიწყო, რაც ბეიტსმა აბრამოვიჩის ხალხი სამი ყმაწვილი ლიდსელის საიდუმლო გადაბირებაში დაადანაშაულა. ამ საკითხის გამოძიება კვლავაც გრძელდება.

# ტურინში რობინიო ჩაიფიქრეს



**იტალიურმა** პრესამ საინტერესო ცნობა გაავრცელა, ტურინის „იუვენტუსი" ბრაზილიელი რობინიოს ხელში ჩაგდებას აპირებსო. ეს ტრანსფერი რეალური იმ შემთხვევაში გახდება, თუ „ბებერი ქალბატონი" ამ სეზონში სერია A-ში გადასვლას შეძლებს.

მადრიდის „რეალში" სწორედ „იუვენტუსიდან" ამ ზაფხულს დაბრუნებულმა ფაბიო კაპელომ გუნდში რუუდ ვან ნისტელროოი და ხოსე ანტონიო რეიესი მიიყვანა. ამის გარდა, იქ მას რაული, ანტონიო კასანო, რონალდო და რობინიო დახვდნენ. შესაბამისად, „სამეფო გუნდის" თავდასხმაში დიდი კონკურენციაა და 22 წლის ბრაზილიელს დონ ფაბიო სათამაშო დროს თითქმის არ აძლევს. იმასაც ამბობენ, რობინიომ თავადაც გამოთქვა წასვლის სურვილიო.

რობინიო „რეალში" 2005 წელს, „სანტოსიდან" 21 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. გავრცელებული ცნობით, „რეალი" მის განათხოვრებაზე ყაბულსაა, თუმცა „იუვენტუსს" ყიდვა უფრო აძლევს ხელს. საქმე საქმეზე თუ მიდგა, წესით, ამ კლუბებს მოლაპარაკება არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან სატრანსფერო ამბებში მშვენიერი ურთიერთობა აქვთ.

ესპანურ მედიას თუ ვენდობით, ყველაზე რეალური, მომავალ ზაფხულს რობინიოს „იუვეში" ერთწლიანი იჯარით გადასვლაა. მერე კი შესაძლოა, ტურინელებმა მისი ბოლომდე გამოსყიდვაც სცადონ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# შევას რედაქტორი არმანი
## რამდენს ეწეოდა დღეში ანდრეი შევჩენკო?



**რამდენიმე** დღის წინ, ინგლისურმა გაზეთმა „ინდიპენდენტმა“ გამოსცა საგანგებო წითელი ნომერი, რომლის ერთი გვერდი მთლიანად ანდრეი შევჩენკოს დაეთმო. აქვე იყო დაბეჭდილი ფრაგმენტები წიგნიდან, რომელიც უკრაინელ ვარსკვლავს ეძღვნება. ამ გვერდის რედაქტორი გახლდათ, არც მეტი, არც ნაკლები, სახელოვანი იტალიელი კუტურიე ჯორჯო არმანი. წითელი ნომრის შემოსავლის ნახევარი გადაირიცხა შიდსთან ბრძოლის ფონდში.

გთავაზობთ რამდენიმე ციტატას:

...სამხედროს ოჯახში აღზრდილი ანდრეი ყოველთვის მოწესრიგებულია. მისი დიდებული ბომბარდირული თვისებები სკაუტებს ჯერ კიდევ მის სიყმაწვილეში იზიდავდა, როდესაც კიევის „დინამოს“ ყმაწვილთა გუნდი გერმანიაში მოგზაურობდა. დანარჩენთაგან ის ყოველთვის გამოირჩეოდა სასიამოვნო გარეგნობითა და საკუთარი თავის რწმენით...

...14 წლის ანდრეიმ უკვე მოიპოვა საერთაშორისო სახელი. იგი იან რაშის თასზე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამ ამბიდან ერთ წელიწადში შევჩენკომ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ჰოლანდიელებს გაუტანა გოლი. ეს შეხვედრა ტელევიზიით გადაიცემოდა და მის შესახებ უკვე ყველამ გაიგო, ხოლო კიდევ სამი წელი რომ გამოხდა, „შევა“ „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა და, ამ გუნდის შემადგენლობაში, ჩემპიონთა ლიგაში 20 გოლი გაიტანა, ამათგან სამი, „ბარსელონასთან“ ერთ შეხვედრაში. შევჩენკო იგონებს: „კიევში „ბარსას“ 3:0 მოვუგეთ. ერთი მეგობარი დამენიძლავა, რომ სტუმრად კატალონიელებს სამ გოლს ვერ გავუტანდი, მაგრამ საბოლოოდ, სადილზე ჩემი დაპატიჟება მოუხდა“.

...1998-99 წლების სეზონი კიეველთა შემადგენლობაში შევჩენკოსთვის საუკეთესო გახლდათ. ანდრეის ლამის ყოველ შეხვედრაში თითო გოლი გაჰქონდა და გუნდიც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე მივიდა. მოგვიანებით, როდესაც ვალერი ლობანოვსკი თავდამსხმელს „მილანში“ უშვებდა, მას „თეთრი რონალდო“ უწოდა...

...დიდმა ლობანოვსკიმ ანდრეიზე საოცარი გავლენა იქონია. ისევე, როგორც ბევრი აღმოსავლეთევროპელი ფეხბურთელი, შევა მაგარი მწეველი იყო — დღეში თითქმის ორ კოლოფს აბოლებდა. ლობანოვსკიმ გადაწყვიტა, ანდრეის სიგარეტისთვის თავის დანებებაში დახმარებოდა და ნიკოტინის კონცენტრირებული ხსნარის დალევა სთხოვა. ფეხბურთელმა დალია და ცუდად გახდა. ის დღე იყო და ის, შევჩენკო სიგარეტს აღარ გაჰკარებია...

...ანდრეის არ უყვარს, სხვა ფეხბურთელებს რომ ადარებენ, თუმცა ოთხი ფეხბურთელი მისთვის საგანგებოა: ბლოხინი, ვან ბასტენი, მარადონა და კრუიფი. რაც შეეხება მის წინააღმდეგ ნათამაშებ ხუთ საუკეთესო მცველს, ისინი გახლავან: პაოლო მალდინი, ჩირო ფერარა, ლილიან ტურამი, ჯონ ტერი და იურგენ კოლერი...

**პაპუნა ძიდია**



# სიფრთხილემ თავი აატკივა

**„ინტერის“** მეპატრონემ, მილიონერმა მასიმო მორატიმ, თავის ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასასვლელად, მთელი ძალისა და ღონის მოკრებისკენ მოუწოდა. შეგახსენებთ, რომ შავლურჯებმა ოთხშაბათს „სან სიროზე“ მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლეს და 0:2 წააგეს, რამაც მათ ქომაგთა ბანაკში დიდი ხმაური გამოიწვია. მიზეზი გასაგებია: გუნდმა, რომელსაც შეჯიბრებაში გამარჯვების პრეტენზიაც კი აქვს, პირველ ტურშიც მარცხი იწვნია — ლისაბონში „სპორტინგთან“ 0:1.

„გასაგებია, რომ ჩემპიონთა ლიგაში სიფრთხილე აუცილებელია, რადგან აქ ხშირია თამაშები, სადაც მთავარია, კაცმა თავიდან რისკი აიცილოს, მაგრამ იმავდროულად აგრესიულობაც აუცილებელია — თქვა რობერტო მანჩინის ფრთხილი ტაქტიკით აღშფოთებულმა ბოსმა — ჩვენ ძნელ ჯგუფში ვართ, საიდანაც შემდეგ ეტაპზე გასვლა რთულია, მაგრამ თუ ჩვენი ოსტატობისა და ჟინის ჯამს ავამოქმედებთ, ნებისმიერ წინააღმდეგობას დავძლევთ. „ბაიერნთან“ მომხდარმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ჯერაც ვერ დავწყნარებულვარ“.

შემდეგ ბიზნესმენმა განაცხადა, რომ მას ძალიან სურს, „ინტერმა“ მიმდინარე ჩემპიონატში დამაჯერებლად გაიმარჯვოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გააჩუმოს ის კრიტიკოსები, რომლებიც 2005-06 წლების სეზონის სკუდეტოს „იუვენტუსისთვის“ ჩამორთმევასა და შავლურჯებისთვის გადაცემის გამო, დიდი ეჭვები გამოთქვეს.

„ვაღიარებ, ამ ჩემპიონატში გამარჯვება თუნდაც მხოლოდ იმიტომ მინდა, რომ დავიცვა და გავამართლო სკუდეტო, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს. მერწმუნეთ, არავისთვის არაფერი მოგვიპარავს. მოედნის მიღმა კი სხვები თამაშობდნენ წლების განმავლობაში.

სერია A-ში, „კალიარისთან“ მოახლოებული თამაშზე და მწვრთნელის მომავალზე კი მორატიმ ბრძანა:

„ვიმედოვნებ, ამ შეხვედრაში ფსიქოლოგიურ პრობლემებს არ წავაწყდებით. პირიქით, მგონი, „ბაიერნთან“ დამარცხებამ დამატებითი მოტივაცია უნდა შეგვმატოს. ხოლო, რაც შეეხება რობერტო მანჩინის, მის თანამდებობას აბსოლუტურად არაფერი ემუქრება“.

**პაპუნა ძიდია**

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | : | რეჯინა |
| ტორინო | : | ლაციო |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | ინტერი |
| კიევო | : | პალერმო |
| ფიორენტინა | : | კატანია |
| მესინა | : | ლივორნო |
| მილანი | : | სიენა |
| სამპდორია | : | პარმა |
| რომა | : | ემპოლი |
| უდინეზე | : | ასკოლი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:6 | 10 |
| რომა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:2 | 9 |
| პალერმო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:9 | 9 |
| მესინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ემპოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ატალანტა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| კატანია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ლივორნო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| სამპდორია | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | 3 |
| მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 2 |
| კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ასკოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ტორინო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| კიევო | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |
| პარმა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | -5 |
| რეჯინა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | -11 |
| ფიორენტინა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -16 |

*მილანს დაკლებული აქვს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*

## იტალია
# ინტეროტაცია გრძელდება

**მილანის** „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მეორე მატჩიც წააგო და, როგორც ამ ბოლო დროს დასჩემდა, კრიტიკაც არ დააკლდა, მათ შორის გუნდის მფლობელ მასიმო მორატისგან. „ნეროაძურის“, გულდაწყვეტილი ფანების ოდნავ დამშვიდება „კალიარისთან“ მოგებით შეუძლია. თუმცა წინა სეზონში „სანტ ელიაზე“ ფრედ, 2:2 ითამაშა და იოლ გამარჯვებას არც ამჯერად უნდა ელოდეს.

„კალიარის“ ამ სეზონში ჯერ არ მოუგია და თუ „ინტერთანაც“ ფეხი დაუცდა, დიდი შანსია, სარდინიელთა პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ გუნდის მწვრთნელი მარკო ჯამპაოლო მოხსნას. მასპინძლები შემტევი ტაქტიკით აპირებენ თამაშს. კლუბის ისტორიაში უკვე საუკეთესო ბომბარდირად ქცეული ჰონდურასელი დავიდ სუაზო და სიმონე პეპე წინ იქნებიან, ფლანგებიდან კი მათ ანტონიო ლანჯელა და მაურო ესპოზიტო დაეხმარებიან.

რობერტო მანჩინი კი ისევ როტაციას მიმართავს. თავდასხმაში ალბათ, ადრიანო — ზლატან იბრაჰიმოვიჩის წყვილი იქნება, ხოლო ერნან კრესპო მოგვიანებით შევა მინდორზე. პატრიკ ვიეირა დისკვალიფიცირებულია, ხოლო ესტებან კამბიასო ტრავმირებული. ასე რომ, ნახევარდაცვის ცენტრში ოლივიე დაკური და დეიან სტანკოვიჩი ითამაშებენ, ხოლო ფლანგებზე მარიანო გონსალესი და ლუიშ ფიგუ. დაცვაში კი ივან კორდობას ვალტერ სამუელი შეცვლის.

„სიენა“ „მილანისთვის“ ერთი შეხედვით სუსტი მეტოქეა, მაგრამ კარლო ანჩელოტის გუნდს, რომელმაც ბოლო ორ მატჩში გოლი ვერ გაიტანა, „სან სიროზე“ ლანგრით 3 ქულას არავინ მიართმევს. მით უმეტეს, რომ ტოსკანელებმა სეზონი მშვენივრად დაიწყეს და გასვლაზე ორივე შეხვედრა მოიგეს.

„როსონერის“ შემადგენლობა საბრძოლოა. ანჩელოტის ფაქტობრივად ყველა ჯანზე ჰყავს და ალბათ ორი ფორვარდით ითამაშებს. წინასწარი ინფორმაციით, ძირითადში რიკარდო ოლივეირა და ფილიპო ინძაგი იქნებიან, რომლებსაც კაკა შეეშველება. „სიენას“ ტრავმის გამო პაულ კოდრეა არ ეყოლება, დისკვალიფიკაციის გამო კი — დანიელე პორტანოვა.



ანჩელოტის გოლი მოენატრა

მეორე ტოსკანური კლუბი „ემპოლი“, რომელიც ჯერჯერობით წაუგებლად მიდის, სკუდეტოს მაძიებელ „რომას“ სტუმრობს. მასპინძლებს შემადგენლობაში სერიოზული პრობლემები აქვთ. მათ სხვადასხვა მიზეზების გამო რიკარდ ვანილი, მირკო ვუჩინიჩი, ამანტინო მანსინი, როდრიგო ტადეი და გაბრიელ მარტინესი აკლიათ.

მესამე ტოსკანური კლუბი „ფიორენტინა“ კი შინ ყველანაირად ეცდება სიცილიური „კატანიას“ წაქცევას. ჩეზარე პრანდელის გუნდმა 19-ქულიანი მინუსიდან ჯერ მხოლოდ 3 გაქვითა და თუ თამაში არ გამოასწორა, სერია A-ში დარჩენა გაუჭირდება.

საინტერესო მატჩია ტურინშიც, „ტორინო“ „ლაციოს“ მასპინძლობს და წესით, დაძაბული თამაში უნდა გამოდგეს. ჯერაც წაუგებელი „მესინა“ კი სიცილიაზე, რამდენიმე თვით თავისი ლიდერის, კრისტიანო ლუკარელის გარეშე დარჩენილ „ლივორნოს“ მიიღებს.

**გიორგი ძაძამაძე**




# კაი ბიჭი, ნაღდი სქუსერი და რამე...

## რუნი ღიპში ვეღარ ეტევა: მოკრივე ჩემპიონს ექაჩება



**მხიარულმა** და უშიშარმა ჯეილმა, შეთავსებით კი ფეხბურთელმა უეინ რუნიმ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაიქადნა, თანაგუნდელ კრიშტიანუ რონალდუს ერთი კარგად დავჭყლიტავო, ოლონდაც პირობა არ შეასრულა.

ამ დღეებში კი რუნიმ სხვასთან კრივობა მოითხოვა: ფედერაციის (იბფ) ქვესაშუალო წონის მსოფლიოს ჩემპიონს რიკი ჰატონს ბრძოლა შესთავაზა.

„ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რუნიმ ესემესი გამომიგზავნა, ერთი კარგი მუშტი-კრივი გავმართოთო. მე მივწერე, საჩემპიონო ქამარი წელზე არ შემოგეტევა, ღიპში ბევრი ჩიპსი გაქვს-თქო. ის ჭეშმარიტი სქუსერია (ლივერპულელთა სალადაო მეტსახელი) და მიპასუხა, სად და როდის, შვილოო. საერთოდ, კარგი ბიჭია, მაგარი იუმორით და, თუმცა „სიტის" ქომაგი ვარ, ძალიან მიყვარს. რა მოხდა, რომ არასწორ გუნდში თამაშობს?" ასე მოუთხრო ხალხს ჰატონმა.

# ჰკა მაგას...

## სად წავა უცხენო-სიმართლის მთქმელი

**სტივ მაკლარენის** აგენტ კოლინ გორდონს ძვირად დაუჯდა გუშინდელი განცხადებები ინგლისელ აგენტთა შავ ფულში მასობრივად გარევის თაობაზე.

„მიდლსბრომ" მას ხუთი წლით აუკრძალა კლუბთან ურთიერთობა. კლუბის პასუხისმგებელმა დირექტორმა კიტ ლერმა თქვა: „კოლინის სიტყვებმა სხვა აგენტთა შესახებ აღგვაშფოთა. „მიდლსბროში" ის ხუთ წელიწადს ვერაფერს ისაქმიანებს".



სტივ მაკლარენი

მაკლარენთან ერთად, გორდონის ყველაზე ცნობილი კლიენტი ყრმა მეთოფე თეო უოლკოტია. თავად გორდონმა კი განაცხადა: „ბოროს" პატრონ სტივ გიბსონთან ურთიერთობა წამიხდა. ვწუხვარ, რომ ასეა, მაგრამ ცხოვრებაც ესაა. ხუთწლიანმა აკრძალვამ გამაკვირვა. ისედაც არ გვაქვს ურთიერთობა, თუმცა, „ბოროს" ფეხბურთელები ჩემს კლიენტებად რჩებიან და ამით ვამაყობ".



კოლინ გორდონი

გორდონი საფეხბურთო აგენტთა ასოციაციამ საგანგებო განცხადებით გააკრიტიკა და მას ნათქვამის მტკიცებულებათა წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | : | ლივერპული |
| ჩარლტონი | : | არსენალი |
| ჩელსი | : | ასტონ ვილა |
| ევერტონი | : | სიტი |
| შეფილდი | : | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | პორტსმუთი |
| ვესტ ჰემი | : | რედინგი |
| ბლექბერნი | : | უიგანი |
| მანჩესტერი | : | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| უოტფორდი | : | ფულემი |

# ინგლისი

## რა გვაქვს გასაყოფი?



მარტინ ონილი



ჟოზე მაურინიუ

**პრემიერლიგის** ლიდერი „ჩელსი" „სტემფორდ ბრიჯზე", ჯერაც წაუგებელ „ასტონ ვილას" მასპინძლობს და ეს მატჩი ყოველმხრივ საინტერესო უნდა გამოდგეს. ლონდონელთა მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ და ბირმინგემელთა თავკაცი მარტინ ონილი აქამდეც შეხვედრიან ერთმანეთს, ოღონდ როცა სხვადასხვა კლუბებში იყვნენ.

2003 წელს მაურინიუს „პორტუმ" უეფას თასის დრამატულ ფინალში, დამატებით დროში 3:2 სძლია ონილის „სელტიკს". მანიუ შოტლანდიელმა სპეციალისტმა მაურინუ და მისი გუნდი მატჩისას და მის შემდეგ არასპორტულ და ცინიკურ ქცევაში დაადანაშაულა, თუმცა ახლა იგი ამბობს, წყენა დიდი ხნის დავიწყებულიაო.

„მაურინიუმ თავისი მაღალი კლასი „პორტუში" და „ჩელსიში" უკვე დაამტკიცა. მასთან გასაყოფი არაფერი მაქვს. პირიქით, დიდ პატივს ვცემ, ისევე როგორც სერ ალექს ფერგიუსონს, არსენ ვენგერსა და რაფაელ ბენიტესს. „ჩელსის" ხშირად აკრიტიკებენ და ამბობენ იგივე გზას არ გავყვებითო, მაგრამ არა მგონია, ლონდონელთა გზა მცდარი და ცუდი იყოს. ისინი ზედიზედ ორჯერ დამსახურებულად გახდნენ ჩემპიონები და ახლაც ფავორიტები არიან. მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, ქულა მაინც ავიღოთ" — თქვა ონილმა.

ორივე გუნდის შემადგენლობა საბრძოლა. შესაძლოა, მაურინიუმ ახალგაზრდა ნიგერიელი ჯონ ობი მიკელიც ათამაშოს, რომელმაც შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე „ლევსკისთან" იბურთავა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

არანაკლებ საინტერესო მატჩია „რიბოკზე". „ბოლტონი" ფორმაში შესულ „ლივერპულს" მასპინძლობს. მერსისაიდელთა მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ალბათ ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს პიტერ კრაუჩს, ვინც ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაის" ორი გოლი გაუტანა, მათ შორის ერთი ბრწყინვალე მაკრატელათი.

„ჯერ კიდევ არ ვიცი, ვიქნები თუ არა ძირითადში. იმედია თურქებთან ამისთვის სამყოფი თამაში ვა[illegible]ენე, მაგრამ გადაწყვეტილებას მწვრთნელი მიიღებს. გუნდში ბრწყინვალე ფეხბური[illegible]ლები არიან და კონკურენციაც დიდია. ეს დამატებით მოტივაციას მაძლევს" — აღნიშნა „ლივერპულის" აყლაყუდა ფორვარდმა.

„მანჩესტერ იუნაიტედი" „ოლდ ტრეფორდზე" „ნიუკასლს" დაუხვდება. „წითელი ეშმაკებისა" და „ჯორდების" დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა და გამონაკლისი ალბათ არც ეს მატჩი იქნება. პრემიერლიგის კიდევ ერთი ფავორიტი „არსენალი" კი „ჩარლტონს" სტუმრობს, საიდანაც ქულების წამოღება ყველას ძალიან უჭირს ხოლმე. თუმცა იან დოუის გუნდმა სეზონი კოშმარულად დაიწყო.

წაუგებელი „ევერტონი" „მანჩესტერ სიტის" მასპინძლობს. წარუმატებელი სერიის მერე „ვესტ ჰემი" შინ, კერკეტი „რედინგის" წაქცევას შეეცდება. „უაით ჰართ ლეინზეც" კარგი ჯახი გველის, „ტოტენჰემი" ჰარი რედნაპის „პორტსმუთს" დაეჭიდება.

**გიორგი ძაძამიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | | | | | | 1:0 | | | | | | 3:0 | | | | | | 2:1 | | 6 | 5 | 0 | 1 | 11:3 | 15 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| 2 | მანჩესტერი | | | | | | | | | 0:1 | | 5:1 | | | | | | 1:0 | | | | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 3 | პორტსმუთი | | | | | | 0:1 | | | | 3:0 | | | | 1:0 | | | | | | | 6 | 4 | 1 | 1 | 9:1 | 13 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| 4 | ევერტონი | | | | | | | 3:0 | | | | | | | 2:2 | | | | 2:1 | | | 6 | 3 | 3 | 0 | 11:5 | 12 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 5 | ასტონ ვილა | | | | | | | | 2:1 | | | | 2:0 | | | | | | | 2:0 | | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| 6 | ბოლტონი | | | | | | | | | | | | | | | | 0:0 | 2:0 | 1:0 | | | 6 | 3 | 2 | 1 | 5:3 | 11 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 7 | ლივერპული | | | | | | | | | | | | 2:0 | | | 2:1 | | 3:0 | | | | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 8 | რედინგი | | 1:1 | | | | | | | | | | | 1:0 | | | 3:2 | | | | | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 9 | არსენალი | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | 1:1 | | | | 3:0 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| 10 | ბლექბერნი | 0:2 | | | 1:1 | | | | | | | | | 4:2 | | | | | | | | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| 11 | ფულემი | 0:2 | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | | | 1:0 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:9 | 8 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| 12 | ნიუკასლი | | | | 1:1 | | | | | | | 1:2 | | | 2:1 | | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 13 | სიტი | | | 0:0 | | | | | | 1:0 | | | | | | 2:0 | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| 14 | უიგანი | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | 1:1 | | | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 15 | ვესტ ჰემი | | | | | 1:1 | | | | | | | 0:2 | | | | | | | 3:1 | | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 16 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:4 | | | | | | | 0:1 | | | | | | | | | | | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| 17 | ტოტენჰემი | | | | 0:2 | | | | | | | 0:0 | | | | | | | | | 2:0 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:8 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| 18 | უოტფორდი | | 1:2 | | | 0:0 | | | | | | | | | | 1:1 | | | | | | 6 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 19 | ჩარლტონი | | 0:3 | 0:1 | | | 2:0 | | | | | | | | | | | | | | | 6 | 1 | 0 | 5 | 4:11 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| 20 | შეფილდი | | | | | | | 1:1 | 1:2 | | 0:0 | | | | | | | | | | | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

# ხანდაზმული ხელოვანის ოთხიანი

**რომარიო ავსტრალიაში „ადელაიდ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ოთხი მატჩის გამართვას აპირებს. 40 წლის ვარსკვლავს, რომელსაც ოფიციალურ შეხვედრებში გატანილი გოლების რაოდენობით ისტორიაში მეორე ადგილი უკავია, დებიუტი მწვანე კონტინენტზე 25 ნოემბერს, „სენტრალ კოსტ მარინერზის“ წინააღმდეგ ექნება**



რაც შეეხება გატანილ გოლებს, ბრაზილიელის 977-ს მხოლოდ მისი დიადი თანამემამულე, პელე აღემატება, რომელსაც ათასზე მეტჯერ შეუგდია ბურთი მეტოქეთა კარში. მოგეხსენებათ, ადელაიდამდე რომარიო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოღონდ მეიჯორ ლიგ სოკერში კი არა, ხირისხით უფრო დაბალ დივიზიონში, „ფ.კ. მაიამიში“ გამოდიოდა.

ბრაზილიის ნაკრებში რომარიოს 74 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 55 გოლი გატანილი. ის გახლავთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. „პსვ ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში საუცხოო ფორვარდს ჰოლანდიის, ხოლო „ბარსელონას“ შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონის ტიტულები აქვს მოპოვებული.

აქ უნდა დავძინოთ, რომ ზემოხსენებულ 25 ნოემბერს რომარიო პირველად ახალ გუნდსა და ავსტრალიის A-ლიგის ჩემპიონატში ითამაშებს, თორემ ადელაიდელები მას 17 ოქტომბერს „ადელაიდ იუნაიტედისა“ და „მაიამის“ ამხანაგურ შეხვედრაში იხილავენ — ასეთია ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი. აქვე მოგახსენებთ ვეტერანის დანარჩენი თამაშების განრიგს: 1 დეკემბერს „მელბურნ ვიქტორიასთან“, 10 დეკემბერს „ნიუ ზილანდ ნაითსთან“ და 15 დეკემბერს „ნიუკასლ ჯესთან“. ყველა შეხვედრა ადელაიდელთა „ჰიმნმარშ სთედიუმზე“ გაიმართება.

„ადელაიდ იუნაიტედის“ მწვრთნელი, ლონდონის „არსენალის“ ყოფილი ფეხბურთელი ჯონ კოზმინა ამბობს, რომ რომარიოს ასაკი პრობლემა არ არის.

